

საპეფეტი

შანი ერთი შაური

 წლიური ფასი საში მან.

 წელიწადი მეოთხე.

ქოველ-კვირული გაზეთი.

კვირა, 24 ივლისი 1911 წელი

რედაქცია უბოტრჩილესად სთხოვს ხელის მომწერლებს და მ.მ. ბლალტინებს გაზეთის წლიური ფასი დროზე დაგვაშველონ.

ყოველ-კვირულ გაზეთ
„თინს ურ საჰმეზგე“
 ხელის მოწერა ძა-
 ილება რედაქციაში,
 ქ. ქუთაისში (საბურ-
 თაძო) — კაზაკის შესხვევში № 17). და თბილისში კომპეტუქლიან ს.მ.
 ხან პაჭკარაშვილს, სომონიანდის შუშის მდარაში. გამოცემა ყოველ თვეში ოთხი
 ნომერი, მ.მ. ხელის მომწერლებს ეთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის
 ერთად გამოგზავნონ.
 წაუტრა ფასი: **3** მანეთი. მასიდან წლის ბოლომდეის
 მანეთი. **2** მანეთი და **10** შაური.
 რედაქცია: ქუთაისი: „შინა უ რ ი“ რედაქცია.

შინაარსი: 1) ქუთაისი 24 ივლისი; 2) არის თუ არა პროგრესი?; 3) ნუ გეშინია! — არს. ნუ სტორისა; 4) კვირიდამ-კვირამდე; 5) კრიტიკული დახასიათება — ხომდეღისა; 6) წაღმა უკუღმა — კ. წუთისრფდეღისა; 7) სიტყვა მდ. ა. დოდონაძისა; 8) წერილი რედაქციის მიმართ — ვინმე ჭიათურე-ღისა.

ქუთაისი 24 ივლისი.

ქუთაისი თუმცა კვიან, მაგრამ მკვი-
 დრათ შეუდგა კულტურულ საშუალებით
 ფულის შექმნას და გამდიდრება — გამი-
 ლიონერებას. ამ შედარებით ჰატარა ქა-
 ლაქში აკერ საში ელექტრო-თეატრი მუშა-
 ობს და მეოთხეც ამ ერთ თვეში აშენდ-
 ება. მაგრამ მუშაობაც არის და მუშაობაც.
 ვერ მოახსრებთ ისეთ სენსებს, რომლე-
 ბსედაც თეატრი გაჭვდილი არ იუოს მა-
 ურებლებით. აქ შეხედებით ყოველი წო-
 დებისა, ქონებისა და სქესის მხეურებულს.
 ვკონებთ, ამოდენი ხალხი დღეს თეატრებ-
 შიდაც აღარ დაიბრებოდეს. ელექტრო-



თეატრების ჰატრონები ერთმანეთის ჯინა-
ზე სურათების ახალ სერიებს სდგამენ და
სრულებით არ დაგიდევენ ამ სურათების
ზნეობრივ ზეგავლენას. მათი აზრით ის
სურათები უფრო კარგია, რომლებიც მეტ
ინტერესს ბადებენ ხალხში და ამიტომ
მეტ შემოსავალს იძლევიან, ესენი კი
ინტელები არიან რომლებაც უმეტეს შემთხვე-
ვაში წარმომადგენენ ახალგაზდა ქალ-ვაჟ-
თა ზეგენა-კოცნა-მტლამა-მტლუშს, სხვა
და სხვა რომანიულ შემთხვევებს და გარ-
უენილების მაგალითებს, რომლების სცე-
ნაზე გამოტანა სასიროცხოთ უნდა ითვ-
ლებოდეს უოველ ჰატრონისან საზოგადო-
ებაში. მაგრამ ელექტრო-თეატრების ჰა-
ტრონებს რა ენადგებათ, მათ ხომ მხო-
ლოდ საზოგადოების ფული აინტერესებთ
და მზათ არიანამ ფულის დასაცინცლაგათ
უოველი დონის მიება ინძარონ. რა მათი
საქმეა აღმზრდელების როლში გამოვიდენ
და ზნეობრივი „ნოტაციები“ უკითხონ
საზოგადოებას? ის კი არა ერთმა ელექ-
ტრო-თეატრის ჰატრონმა ბ. კოკოჩაშვილ-
მა ხალხის მისაზიდავათ ქალების ჭიდაო-
ბა—კოტრილიც კი გამართა. ეს რამდენ-
ნიმე დღეა თორმეტამდე, ვითომ სსვა და
სხვა ხალხოსნობის წარმომადგენელი, ქა-
ლები ერთმანეთს ებლაუჭებიან და აურაცხელ
საზოგადოებას იზიდავენ ბ. კოკოჩაშვი-
ლის გულის გასახარებლათ.

კოკოჩაშვილი რომ ელექტრო-თეატრს
აწეობდა, გვეგონა მის თეატრს მეცნიე-
რული ხასიათი ექნებოდა, რადგან უფი-
რობდით არც ისე ღარიბია, რომ ამით

გამდიდრება სდომოდეს. ჩვენ გვეგონა,
როგორც თვით კულტუროსანი, კულტუ-
რულ მნიშვნელობას მისცემდა თავის და-
წესებულებას, მაგრამ რა კულტურის გა-
მაგრცელებელიც არის ეს დაწესებულება
ამჟამათ სჩანს მოჭიდავე ქალების საქცი-
ელისაგან.

ესლა ეს ქალები, გონორარის მო-
მატებით უთუოდ, „სანსუსის“ ელექ-
ტრო-თეატრმაც დაიბევა და აჭიდავებს.
ჩვენი დარბაისელი „კოლხიდა“ დიფი-
რამბებს უწერს მოჭიდავეებს და, ლამის
არის, ჩვენ ქალებსაც აღუძრას ჭიდაობის
სადერდელი, და აი სწორეთ მაშინ შემო-
ვა ჩვენში კულტურა და აღდგება ძველი
ქართველი დედა, რომელსაც ასე ეძებს
„კოლხიდა“ და ამ ძებნაში ამათრახებს,
სხვათა შორის, „კარტველ კალებს“. ჭი-
დაობასთან სტუმარ ქალებს არაუის სმაც
კარგი სცოდნიათ და თუ ეს სამაგალი-
თო ჩვეულებაც კადმოიტანეს ჩვენმა ქა-
ლებმა, „ამენდა საქართველო“ და ის არის
რადგან დედები კულტუროსანნი გვეუო-
ლებიან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ
თბილისელ დიდებულ ქართველებს ჩვენ
მოვასწრებთ გაკულტუროსნებას. სანამ იქ
რუს მუშებს დასახლებდენ, სანამ ეს უკა-
ნასკნელები თავის გავლენას იქონიებდენ
ქართველ ქალებზე და ვაცებზე, ჩვენ უკვე
კულტურის შეწამულ ზღვაში მპეიდობით
ვიქნებით ვასული, განსაკუთრებით, თუ
„კოლხიდაც“ დაგვემხრა თავის დიფი-
რამბებით.

ესლა.

არის თუ არა პროგრესი?

(გაგრძელება*)

თავი დაფანებოთ ეხლა ყოველ გვარ მსჯელობას და გულახდილათ უპასუხოთ შემდეგ საკითხზე: ყველა გამოჩენებმა და მოგონებებმა, აღებ-მიცემობის განვითარებამ მრეწველობამ, გაუნჯობესებელმა მიმოსვლამ და სხ., ყველა იმან, რასაც ჩვენ პროგრესს უწოდებთ გააიოლა ადამიანის ცხოვრება? არა, პროგრესს არ მოუტანია ჩვენთვის ის, რასაც მისი დამცველები გვპირდებოდნენ.

და ასე მსჯელობენ არა მხოლოდ თავის ხვედრით უკმაყოფილო მილიონი ადამიანები, რომლებსაც სხვა წესწყობილება სჭირდებათ, არამედ უფრო მოაზრე ადამიანებიც. დღევანდელი ფილოსოფოსები ყველა პესსიმისტები არიან. კანტი ცხოვრებას განსაცდელს უწოდებს, რომლის ტვირთ ქვეშ ბევრისულს დაფავს, და ამბობს, რომ თვით საუკეთესო ადამიანის ცხოვრებაში უსიხარულოაო. „ცხოვრება, — ამბობს შელლინგი, — არის ველი ტირილისა და მწუხარებისა; ამას მოწმობს ის ტანჯვის ბეჭედი, რომელიც აზის მთელ ბუნების და ცხოველების სახეს.“

გარტმანი ქვეყნიერებისგან თავისუფლებას იმაში ხედავს, რომ კაცობრიობის თვითცნობიერება, როცა იგი გაიმსჭვალება რწმენით ჩვენი ნების სისუფლებში და მთელი არსებობის უბედურებაში, ისეთი კმუნვით შეიბოჭება მშვიდობისათვის, აბსოლიუტურ—სრულ მოსვენებისათვის, რომ ეს კმუნვარება უძლეველი გახდება. განა შეიძლება ამის შემდეგ პროგრესი უწოდოთ მას, რაც ასეთ სასოწარკვეთილების ოხერას ჰგლჯს კაცობრიობის ნომდვრების გულიდგან? ეს ადამიანები სოლომონის თანახმად ამბობენ, ყოველივე ამაოაო.

ყველაზე უფრო ეწინააღმდეგებიან თავის თავს ბუნების მეტყველთაგან გამოსული პროგრესის დამცველნი. ერთი მხრით იგინი გა-

ნუწყვეტივ გაიძახიან განათლების და ცოდნის წარმატებაზე, მეორე მხრით არაფერი არ შეუძლიათ სთქვენ წინააღმდეგ მოციქულის სიტყვებისა: „ქვეყანა და ყოველი მას ზედა დაუნჯებულ არიან ცეცხლისა“. მეცნიერული გამოკვლევანი ამ მხრით იმ დასკვნამდი მიდიან, რომ როგორც დედამიწას, ისე მთელი მზის სისტემას და მთელ მსოფლიოსაც ნელ-ნელა დამსება მოელის: სიცივისაგან თავდასაფარავათ ადამიანი ტროპიკებს შეუტევებს და ბოლოს მთელი აქ თავმოყრილი კაცობრიობა იმის ფიქრშილა იქნება, თუ როგორ ცოტახანს მაინც განაგრძოს თავის ბედკრული არსებობა.

„უეჭველია, ამბობს შპილლერი, რომ უკანასკნელი ადამიანების ცხოვრება ესკიმოსების ცხოვრებას ემგვანებაო“. რა საცოდავი პროგრესია!

თქვენ უთუოთ გაგიგონიათ ეგრეთ წოდებული ბრინჯაოსა და ქვის საუკუნოებზე. მსწავლულები ამბობენ, რომ თითოეული ამ საუკუნეთაგანი დიდხანს გრძელდება და ბევრი ათი ათასი წელიწადი გავიდა, სანამ ადამიანი რაღაც ნაჯახის მსგავსს მოაგონებდა. მაგრამ ეს ხომ ოცნებაა და ყოველ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კაცობრიობის პროპორციონალურ განვითარებას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ევროპის ისტორიული ხანა არ აღემატება 3,000 წელს და რომ ამ ხანას რიყრაყზე კულტურული ევროპიელი სრულ ეელურს წარმოადგენდა, თავისთავათ ცხადი შეიქნება, თუ რამდენათ მცირეთ სარწმუნოების მოსაზრება, რომ კაცობრიობა 50 ათასი წლის განმავლობაში სრულიად არ იძროდა პროგრესიულათ. ასეთ პირველყოული კაცს ან მეტი განვითარების ნიჭი არ უნდა ქონდა, ვიდრე, მაგ. ძაღლს, ან სულ ცოტათ უნდა ჰგვანებოდა თანამედროვე კაცს. ამ შემთხვევაში კაცობრიობა ემგვანებოდა იმ ყრუ და მუნჯ ბავშს, რომელიც 15 წლის უძრავათ წოლის შემდეგ უეცრათ დაიწყებდა სხეულის ნაწილების სხვა და სხვა ქნელ მოძრაობას და პოეტურ ლაპარაკს.

(* იხ. „შინ. საქ.“ № 20.

გარნა ყველა მსწავლულები არ არიან იმ აზრის, რომ ადამიანი ქვეყანაზე რამდენიმე ათი ათასი წლის განმავლობაში სცხოვრობს. «დღეს ამბობს, პროფ. ლანგე ძლიერი რეაქციაა გამეფებული ათიათას წლიან ხანების თეორიის შესახებ». და მართლაც ის თეორიები, რომლებიც ას წლობით ითვლიან მამონტის, მღვიმის დათვის, და ჩრდილოეთის ირმის ხანებს, სრულიად უსაფუძვლოთ გვეჩვენებიათ, თუ წარმოვიდგინოთ, რომ ამ ცხოველებს ადვილათ შეეძლოთ ერთ და იმავე დროს არსებობა და მათი ძვლების აგებულება სრულიად ნებას არ იძლევა, ვიფიქროთ რომ იგინი სხვა და სხვა დროს არსებობდნენ და არა ერთ და იმავე დროს.

პროფ. რობერტი კაჟის ნამტკრევებს, რომელიც აღმოაჩინეს საფრანგეთის გრანპრესინიაში და რომლებზედაც ფიქრობენ, რომ იგინი ქვის საუკუნეს ეკუთვნის, ამ კაჟის ნამტკრევებს სთელის კაჟის თოფების ყოფილ ქარხნის ნაშთათ და მას ემხრობა ცნობილი გეოლოგი ელიდგე-ბომონი.

ქვის და ბრინჯაოს საუკუნოების რაოდენობას მორლო 8,000 წლით აღნიშნავს, ხოლო ცნობილი არხეოლოგი ტროიონი თავის კვლევაში—ძიებაში შესახებ ქვის საუკუნისა და მარგილის (СВАЖИИИ) შენობებისა ამბობს, რომ მათი არსებობა არ აღის 1500 წელს ზევით ქრისტეს დაბადებამდის. პროფ. ფრაასი ამბობს, რომ გერმანელ ტომთა მარგილის შენობები ტბებზე ეკუთვნის VII და VIII საუკუნოებს ქრისტეს დაბადებამდის და დასძენს, რომ «სრულიად არაფერი არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მარგილის შენობები არსებობდნენ 1000 წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდის». მსწავლულთა ასეთი უთანხმოება უცხადესათ ამტკიცებს, თუ რა ძნელია ქვის ნაწარმოებთა სიძველის განსაზღვრა და რამდენათ გიპოტეტიურია ათასწლოვან ხანებზე შეგვარებული თეორიები.

სამხრეთ ციურისის გლეხები ცეცხლის გასაჩენათ დღესაც ისეთ ნაირ კვსით სარგებლობენ, როგორც ქვის საუკუნის ადამიანები,

ხოლო ციურისის ტბის მეთევზენი—ქვის რგოლებით, როგორცაა ხმარობდნ მარგილის შენობების დროს, მხოლოდ და მარტო იმ განსხვავებით, რომ ესენი ისე ხელოვნურათ დაზადებულნი არ არიან, როგორც წინანდელნი. ეს გარემოება, სხვათა შორის, იმასაც ამტკიცებს, რომ ნაკლები ხელოვნების ნივთები ყოველთვის არ მოწმობენ მათ სიძველეს და არც უკეთესის მათ სიახლეს. რა დასკვნამდეს უნდა მივიდნენ 2911 წლის არხეოლოგები შესახებ მეოცე საუკუნისა და რამდენ საუკუნეს იანგარიშებენ ისინი ამ გლეხთა და მეთევზეთა შორის ერთს მხრით და მალაღანათლებულ შერანის მოავარაკეთა და ციურისელ მილიონებთა შორის მეორეს მხრით?!

—

ენახოთ ეხლა რამდენათ არა სარწმუნოა მიწიდან ამოღებულ თავის ქალათა ზედა დამყარებული აზრნი და გამოკვლევანი. პროფ. ფოგტი გვარწმუნებს, რომ 1631 წ. ენგისისაგან აღმოჩენილი თავის ქალა ეკუთვნის პირველ ყოფილ ველურს, რომელიც გონების განვითარების ძლიერ დაბალ საფეხურზე მდგარა, ხოლო დარვინისტი პროფესორი გექსლი ფიქრობს, რომ ეს თავის ქალა, შესაძლებელია, ფილოფოსსაც ეკუთვნოდესო. ასეთვე შესანიშნავ თავის ქალაზე, რომელიც ნანდრმა აღმოაჩინა, პროფ. ვირხოვი ამბობს, რომ «თუ ეს ქალა ტაპირ რასის კუთვნილებას არ შეადგენს, იგი არც პირველყოფილ ადამიანის კუთვნილებას უნდა შეადგენდესო». ჰრუნერ ბეი ფიქრობს, რომ ღვინის რაოდენობით ეს ქალა მეტობს თანამედროვე ადამიანის თავის ქალას და ეკუთვნის ისტორიულ ხანის კელტსო, ხოლო პროფ. დავისსო ამტკიცებს, რომ იგი ჩვენი დროის რეგენის (იდიოტის) თავის ქალას წარმოადგენსო. პროფ. ფრაასი საფუძვლიანათ დასცინის ასეთ ერთმანეთის საწინააღმდეგო დასკვნებს და ამბობს: «ასეთი მეცნიერთა ერთი მეორის წინააღმდეგი მოსაზრება იმის მოწმეა, რომ პირველყოფილ ადამიანებზე ჩვენ სრულებით არაფერი ვიცითო. თავის ქალა და აგ-

რეთვე სხვა ძველები გინა ქვის ნაჭრები არა-
 ვითარ თავის წარმოშობის ნიშნებს არ ატარე-
 ბენ: ყოველ დროს იყო მრგვალი და მოგრძო
 თავის ქალა, ნიჭიერნი და უნიჭონი, კუნტნი
 და რეგენნი. ასეთივე ფუჭა გამოდგა ყოვე-
 ლი ცთა შესახებ მრგვალ და მოგრძო თავის
 ქალათა შესახებ, რისგანაც ვითომ დამოკიდე-
 ბულია ადამიანის ასეთი თუ ისეთი აზროვნე-
 ბა და რომელიც შეადგენს ამა თუ იმ რასის
 განმასხვავებელ თვისებას. თვით თვის ქალას
 შენობის და ფორმის შესახებაც დიდი ცილო-
 ბაა მეცნიერთა შორის. მაგ. ანტროპოლო-
 გებს ომონს და პოშინგერს ამ უკანა-
 სკნელ დროს ცილობა ჰქონდათ ერთი მეორე-
 ში იმის შესახებ, თუ რა ფორმისა იყო ბის-
 მარკის თავი მრგვალი თუ მოგრძო.

თუ ფოგოე და სხვა მეცნიერები ადამი-
 ანს მამონტისა და მლეიმის დათვის თანამე-
 როვეთ სთვლიან, აქედგან სრულებით არ შე-
 გვიძლია ის დასკვნა გამოვიყენოთ, რომ ადა-
 მიანი უფრო დიდი ხნის არსებაა, ვიდრე ამაში
 ბიბლიის მოთხრობა გვარწმუნებს. წინააღმდეგ
 ძალიან ადვილი წარმოსადგენია, და ჩვენ არა-
 ფერი ამის საწინააღმდეგოთ დასამტკიცებელი
 საბუთი არ გვაქვს, რომ მამონტი, რომელიც
 თავის ტყვიან-ბაღნიანა და გაყინულ სისხლიანა
 შენახულია, და რომელიც დღესაც მოიპოვება
 მდინ. პეჩორისა და ლანას კაობებში—ბიბლი-
 ურ წარღვნის თანამედროვეა და მაშინ დაი-
 ლუპა. ამ ნაირათ ბიბლიის თქმულებით ადა-
 მიანმა და მამონტმა ერთათ იცხოვრეს წარ-
 ღვნამდის 1500 წელიწადი, — ეს დრო სრულე-
 ბით საქმარისთა ქვისა და ბრინჯაოს ხანათა-
 თვის.

როგორც წარღვნის წინ ისე წარღვნის
 თანამედროვე ადამიანები წარმოადგენდენ
 მძლავრ, თავის ძლიერების შეგნებით სხვსე
 მებრძოლ ხალხს; ამნაირათ არიან იგონი დახა-
 სითებულნი ლამეჭვის საგალობელში, ამასვე
 მოწმობენ მათი მძლავრი ჩონჩხები და თავის
 ქილები. ეს ისინი არიან, რომლებიც საუკუ-
 ნოებით ცოცხლობდნენ და რომლებიც ყველა

მიოლოგიაში იბრძვიან გველეშაპთა წინაღ-
 მდეგ უ-თიერთ შორის და სხ. და ეს გმირთა
 თაობა, რომელიც უკვე სქედავდა სხვა და სხვა ლი-
 თონებს, რომელმაც მოიგონა საკრავი იარაღები
 რომელიც აშენებდა ქალაქებს და კილობნებს
 უფრო მეტი წყალწყვით, ვიდრე დღევანდელი
 ჩვენი ჯავშნიანი გემებია, გოდლებს, როგორც
 მაგ. ბაბილონისას, შეიძლება, რასაკვირველია,
 ეგვიპტის ტაძრების და პირამიდების აშენე-
 ბასაც და მისთვის საჭირო არ იყო რამოდენი-
 მე ათასი წელიწადი, რომ რამოდენიმეთ კულ-
 ტურულათ განვითარებულიყო.

ადამიანები მგონი არასოდეს მოკლებულ-
 ნი არ ყოფილან აზროვნებას და მულამ ყო-
 ფილან ერები, რომლებსაც ხელმძღვანელო-
 ბისა და მბრძანებლობის ნიჭი ჰქონიათ.

ასეთივე მცირე საბუთი გვაქვს ვიფიქროთ,
 რომ ოდესღაც დადგება დრო, როცა ცივილი-
 ზაცია მთელ კაცობრიობას (ყველა ხალხებს
 ცალცალკე) მოეფინება.

შემცდარია ის აზრი, ვითომ ველურთა
 შორის საუცეფოთ გადატანილი ევროპიელი
 ზნე-ჩვეულება და შკოჯა, კანონები და დაწე-
 სებულებები უფლებას იძლევიან კულტურო-
 სანი უწოდოთ მათ. როგორც ადამიანის აზ-
 როვნების იარაღი—თავი—დაახლოებით მთელი
 სხეულის მეათედს შეადგენს, მსგავსადვე, ვგო-
 ნებთ, ამდენივე ნაწილი კაცობრიობისა უნდა
 დარჩეს ყოველთვის გონებრივ ხელმძღვანე-
 ლათ; ამ დამოკიდებულების შეცვლა მისთვის
 ისეთივე საბედისწერო იქნებოდა, როგორც,
 ვსთქვათ, ტვინის განვითარება სხეულის და-
 ნარჩენ ნაწილების ხარჯზე.

(შემდეგი იქნება).

„ნუ გეშინია!..“

(რუსულიდან).

(დახასრული.)

ძვირფასო მეგობარნო და ძმანო! ჩემ
 მიერ მოთხრობილ თქმულებაში უბრალოდ,
 არა ენაშქვრულ სიტყვებით გადმოცემულია

*) იხ. „შინ. საქ.“ № 20.

აღწერილობა დასაღვებელად განმზადებულ კატის სულისა, ხოლო მეორეთ, შეიძლება მის გარდაცვალებულ წინაპართა ლოცვით, ან ყოვლის შემძლებელ ღვთის მოწყალებით აღრეულ და თავზარ დამცემელ დაღუპვისაგან გამოხსნილია.

მაგრამ, უნდა ვსთქვათ, უნდა ქეშმარიტება აღვიაროთ, რომ აურაცხელ ხალხს მოვლის ის ბედი, ბედისწერა, ანუ ხვედრი, რომელსაც ქვეიან თვითმკვლევლობა, თავისთვის მოკვლა და რა თავზარ დამცემი და სულის და გულის აღმშფოთებელი ამბავია, როცა კითხულობთ, რომ სტატისტიკისაგან სიანს: მხოლოდ მარტო პეტერბურგში ყოველწლიობით თავს იკლვის ათას ორასი კაცი.

„ათას ორასი“ ანაღვარდათა სიცოცხლე ხდება მსხვერპლათ თვით თავზარ დამცემის, თვით საშინელის, თვით უმოწყალო სასოწარკვეთილებისა.

ხოლო ეს სასოწარკვეთილება ქეშმარიტად თავზარ დამცემია და ქეშმარიტად საშინელია. რაც რომ უნდა სთქვან თავის თავის მკვლევლებზე, როგორათაც უნდა ეცადონ უსარგებლოთ ჩადილი მიყენონ ცხოვრების ამ არა ნორმალურ მოვლენას — თავისმკვლევლობას, მაინც თავის არსებობის მოსპობა კაცისათვის, რომელიც არის არსება შექმნილ ცხოვრებასათვის და ცხოვრების მოყვარულად — ადელი არ არის.

რომელ მათგანს არა ყავს ან საყვარელი დედა, ან საყვარელი მამა, მეგობარი, ან ცოლი, ან და, ძმა, ასული ან ძე, რომლებიც ამშვენებდენ მთელ მათ სიცოცხლეს, მთელ მათ არსებას და რომელთა გულისათვის მან გაღაიბანა აურაცხელ ტანჯვა-წვალება თავისი სიცოცხლეში. და ყველა ამას ერთ წუთში, ერთ თვალის დახამხამებაში უნდა გამოეთხოვოს!

ტყულო კი არ გონიათ ზოგიერთებს (მე კი ვფიქრობ, რომ ეს არ უნდა იყოს სიმართლე), რომ უკანასკნელი წამი თავის მკვლეულის მოქმედებისა, მაგალითად რევოლვერის ჩახმების დაკვინებას ახდენს არა თვითონ თავის თავის მკვლელი, არამედ დაპატრონებული მასზედ ბნელი ძალა.

თვითონ განსაჯეთ რავდენათ დასუსტებული უნდა ჰქონდეს ყოველ თავის მკვლელს სარწმუნოება, იმედი უმჯობეს მომავალზე.

საჭიროა მხოლოდ ამაზედ დაფიქრება, რომ გაიგო, როგორი თავზარ დამცემია, როგორი სიშიშარია ვაცისაგან დაკარგვა იმ ნიადაგისა, იმ სიმტკიცისა, რომელიც ქმნის მას ღეშად, რომელსაც არ შეუძლია წინააღმდეგეს, არ შეუძლია ებრძოდოს (ცხოვრების სიღუბუქარეს) მაგრამ რა უნდა ვქნათ ამის წინააღმდეგ?

როგორი ძალა, როგორი მხედრობა უნდა წამოაყენო ამ ბოროტების საბრძოლველად?

ძველ კეთილ დროში კაცობრიობის კეთილ ღრეობის დამცველებად, დარაჯად იდგნენ მშობლები, სამღვდელოება და მთავრობა ცენზურის სახით.

მართალია, ცენზურაში ბევრი იყო დამახინჯებული, არა სიმპატიური მხარეები, მაგრამ ყველა ესენი დაჩრდილულ იყვნენ წინაშე იმისა, რასაც სიკეთეს იძლეოდა ის თავისი მფარველობით, რომლის წყალობით კაცთა შორის დაცულ იყო სარწმუნოება უფლისა ღვთისა და საუკუნო ცხოვრებისადმი, ხოლო ეხლა... ასეთი არაფერი არ არის.

ღრმად მორწმუნე ქრისტიანულ ოჯახში, სადაც ოჯახის ყოველმა წევრმა იცის მნიშვნელობა და ფასი ღვთისადმი სარწმუნოებისა, სადაც ნამდვილ ცხოვრებაში ღვთისადმი პატივისცემის და სიყვარულის მცნებას თან მიყვება მცნება მშობლების სიყვარულისა და პატივისცემისა, — ასეთ ოჯახში საშიში არ არის სიცოცხლე და ლიტერატურა თავისი დამარღვეველი საფუძვლებით, თავისი უარყოფელ ქადაგებებით.

მაგრამ იქ, სადაც ეს სარწმუნოება შერყეულია, სადაც, როცა ერთი ლოცვილობს, მეორე მას სასაცილოდ იგდებს, — იქ კაცთა დამფარველნი საშეაღებანი უძლურნი არიან.

იქ საჭიროა მხოლოდ შემწეობა ღვთისა.

აი ამ უბედურ ოჯახების მორწმუნე წევრთ ჩვენ ურჩევთ შეძლებისა დაგვარად ხშირ-ხშირად მიიქცნენ ღვთისადმი ლოცვით.

ყოველ თავისუფალ წუთში აღაველინონ უფლისა—ღვთისადმი თუნდა გონებითად ვედრება და წარმოსთქვან ფსალმუნთ მგალობლის სიტყვები:

„ნუ მისდრეკულსა ჩემსა (და მახლობელთა ჩემთა) სიტყვათა მიმართ უკეთურებისათა მიზეზად მიზეზთა ცოდვისათა, კაცთათანა რომელნი იქმან უსჯულოებასა და ნუშეცა ზიარვარ მე რჩეულთა მათთა თანა.... რამეთუ შენდამი, უფალო, თვალნი ჩემნი, შენდამი ვესაგ, ნუ მიმიღებ სულსა ჩემსა. დამიცევ მე მახისაგან, რომელ დამირწყეს მე დასაცთურისაგან, რომელნი იქმან უსჯულოებასა“ (ფს. 140, 4, 8, 9).

და ეს ლოცვა თავის საქმეს გააკეთებს. მხოლოდ ის უნდა იყოს გულწრფელი. ვისაც უყვარს სამშობლო, ვისაც უყვარს კაცობრიობა, ყველას დაბეჯითებით ვსთხოვდი ყოველთვის თავისი ჩვეულებრივი ლოცვის შემდგომ წარმოსთქვას ლოცვის ეს სიტყვები, მახსოვს რა, რომ როცა ჩვენ ვლოცვილობთ მახლობლის კეთილდღეობაზე, ჩვენ მაშინ ვლოცვილობთ თვითონ ჩვენ კეთილდღეობაზე.

ყველა კი იმ შეძლებულ და ხელმომთბარ კაცებს, რომლებსაც თავის ქონებიდან შეუწუხებლად შეეძლოთ გადაედვათ რავდენიმე ათი მანეთი, რომ გაავრცელონ ჩვენი სასულიერო ლიტერატურა, ყოველგვარად ხელი შეუწყონ მის გავრცელებას მდაბიო ენაზე, რომ ყველას შეეძლოს შინაარსის გაგება. ხოლო იმათ, რომელთაც არ ეშინიათ ბრალი დასდვან უკან ჩამორჩენაში, ძველ წესრიგის მომხრეობაში ჯვარცმულ ქრისტეს სახელით ვევედრები თუნდაც ერთი მკირეთთაგანის გამოსხნის გულისთვის ხშირ-ხშირად სიტყვით და საქმით ახსენონ ღმერთი, როგორც ერთად ერთი და მტკიცე მფარველი კაცისა ყოველგვარ მწუხარებაში და უბედურებაში, და სახარება მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, როგორც ისეთი შესანიშნავი ნივთი, რომელიც

ვისაც აქვს და ვინც მის სწავლას მიყვება, ანუ ასრულებს, არავის არაოდეს არაფრის არ უნდა ეშინოდეს ცხოვრებაში.

ღმერთი და სახარება გაქვს შენ კაცო! მათთან ერთად სრულიად ნურაფრის ნუ გეშინია.

მათთან ერთად არაფერი არ არის საშიში ქვეყანაზე.

„ნუ გეშინია“!

წინამძღვარი ნესტორ.

ვერსილამ-ვერსილამე.

ვოსტორგოვის «ჩამოგდება». სრულიად სარწმუნო წყაროების ცნობებით მოსკოვის საეპარქიო სასახლის წმ. ვლადიმირის ეკლესიის დეკანოზი და მოსკოვის სასულიერო ცენტრის კომიტეტის წევრი, ცნობილი მისიონერ-მქადაგებელი მ. ვოსტორგოვი მოსკოვის მიტროპოლიტ ვლადიმირისაგან დათხოვნილ იქმნა ყველა თანანდებობათაგან ქ. მოსკოვში, რადგან მ. ვოსტორგოვს თავის ოფიციალურ მდგომარეობის დაკარგვა არ უნდა, ამიტომ მან თხოვნით მიმართა უწ. სინოდს, რომ დაეწინაურებინა მოსკოვის სინოდის კანტორის შტატგარეთ წევრათ.

როგორც პეტერბურგიდან გვწერენ, ვოსტორგოვის დათხოვნა სინოდის წრეებში დღეს საქირბოროტო საკითხათ გადაქცეულა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია. ფორმალური მიზეზი ვოსტორგოვის გადადგომისა მისივე განცხადებაა, რომ მას არ შეუძლია სამსახური მოსკოვში, სადაც იგი იშვიათი სტუმარია სხვა და სხვა საქმეების გამო. ფაქტიური მიზეზი კერძო პირთა, კერძო თავმოყვარეობათა და კარიერისტულ მოსაზრებათა ბრძოლა არის, რომელთა სარბიელათ გამხდარა დღეს ეკლესია, ი. ვოსტორგოვს ვითომ გაულაშქრნია მისსიონერ აივაზოვის წინააღმდეგ. აივაზოვს რომ ეს გაუგია კონტრ-ნალიმი მიუტანია და რადგან იგი უფრო ძლიერი და დახელოვნებული აღმოჩენილა, ამიტომ ეხლა ვოსტორგოვი გადაუყენებიათ.

როგორც გაზ. „Утро Р.“ საკუთარი კორრესპონდენტი იუწყება ცარიცინიდან, ცნობილ ილიოდორს ტელეგრამით თანაგრძნობა განუცხადებია მღვდ. სტროკოვისთვის, რომელმაც საშუხარო სახელი მოიხვეჭა მისდამო რწმუნებულ ქალთა სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა გახრწნით. იგი გულთბილ მწუხარებას გამოსთქვამს და ჰკიცხავს ასტრახანის სამღვდლოებას, რომელმაც სტროკოვისათვის არა სასიკეთო დადგენილება მიიღო და უწოდებს ამ დადგენილებას ნამეტანს ფიცხელს (?!).

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ სპარსეთის ყოფილი შახი მახმედ-ალი, სპარსეთში დაბრუნებული და დაკარგულ ტახტის დაბრუნებას შესდგომია. როგორც სჩანს მომხრეებიც ბლომთ აღმოჩენია.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მომავალი სამოსწავლო წლიდან 2250 თავისუფალი ვაკანსიაა, რომელთაგან 67 ებრაელთათვისაა.

პოლიტექნიკუმში 3700 თხოვნა შესულა, თავისუფალი ვაკანსია კი მხოლოდ 1140, რომელთაგან ორი ებრაელთათვისაა.

რადგან წელს რუსეთში ჰურის მოსავალი მცირე იყო, მართებლობა ყოველ დონისძიებას ხმარობს არ გაუშვას ჰური საზღვარ გარეთ.

11 ივლისს კახანის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის აღმასრულებელს პროფესორ ალექსანდროვს ბერობა უსურვებია და მღვდელ მონაზვნათ კურთხებულა, იგი თავის თანამდებობაზე დარჩება ისევ უნივერსიტეტში. (გაზ. V. P.)

11 ივლისს კახანის შამათა შონასტერში ქურდს ძველი ამოშენებული შესავალი გამრუნგრევა, შესულა ტაძარში, გაუხერხია საეკლესიო ნივთების საწყობის კარის გადასაკლერი რაზა და გაუტაცნია რკინის ზანდუკიდან სარგებ-

ლიანი ქაღალდები 48,191 მანეთისა, 33,000 მნეთი ნაღდ ფულათ და მიმაღულა.

მოსკოვის უნივერსიტეტში წელს სხვა და სხვა ფაკულტეტზე 2,050 თავისუფალი ალიგია ახალ მოსულ სტუდენტებისათვის.

სახალხო განათლების სამინისტროში ახალ კანონებს ადგენენ შესახებ საშუალო სასწავლებლის მოსწავლეების ყოფაქცევისა სასწავლებელ გარეთ. სხვათა შორის აკრძალული იქნება თეატრში სიარული ნება დაურთველათ.

გამოცხადდა კანონი, რომლის ძალითაც საღვთო წერილის წიგნების, გამაფრცხვლებელ საზოგადოებას რუსეთში სამი წლის განმავლობაში 1800 მანეთი უნდა ეძლიოს ხაზინიდან წელიწადში.

როგორც ამ დღეებში გამოცხადდა აფთიაკის მოსწავლეთ შესვლის ნება ეძლევათ ყველას, ვისაც გიმნაზიის 4 კლასი დაუსრულებია, ან 2 კლასი სასულ. სემინარიისა.

განათლების მინისტრის ნებართვით ტომსკის უნივერსიტეტი მომავალ სამოსწავლო წელში მიიღებს სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებულებს, რომლებსაც დამატებითეკზამენს მოსთხოვენ მათემატიკაში, ფიზიკაში და ერთ-ერთ ახალ ენაში, რამდენსაც გიმნაზიის 8 კლ. გადიან.

14 ივლისს ბახმაროს სააგარაკო მთაზე გადაიტყალა ცნობილი მომღერალი და ქართულ საეკლესიო ვალობის ნოტებზე გადამღები ფილიმონ ქორიძე.

ივერეთის სამღვდლოების ჯამაგირების მაისის კრედიტი უკვე გაიხსნა.

ქ. ქუთაისში შესდგა ბერძენთა საზოგადოება, რომელსაც მიზნათ აქვს ადგილობრივ შემოსახლებულ ბერძენებს დახმარება გაუწიოს როგორც ნივთიერათ, ისე ზნეობრივათაც. განძრახულია ამ ენკენისთვიდგან გახსნან პირველ დაწყებითი საეკლესიო სკოლა. საზოგადოების წესდება ამ მოკლე ხანში წარედგინება ბ. გუბერნატორს დასამტკიცებლათ.

რომთა პატრიარხს პიოს მეათეს კათოლიკეთა დღესასწაულების რიცხვი წელიწადში სამოცამდის შეუმოკლებია. ამის გასამართლებელ საბუთად შემდეგი მოსაზრება მოჰყავს პაპის ეპისტოლეს: „კაცთა საზოგადოების ცხოვრების შეცვლილი პირობები ჰქმნიან სარწმუნოებრივ დღესასწაულთა კანონის შეცვლის სურვილს, რადგან უმეტესი ნაწილი არსებულ დღესასწაულებისა ვნებს ვაჭრობას და არ შეესაბამება საქმიან ცხოვრების გამაღებულ წინსვლას, ხოლო ცხოვრების სიძვირე ნების არ აძლევს მუშას ხშირი მოსვენებისას.“

ოცი ივლისისთვის უწ. სანოდი დაამთავრებს კანონპროექტს შესახებ სემინარიების რეფორმებისა და შეუდგება სასულიერო აკადემიების რეფორმის პროექტს. სათაბიროთ მოწვეულნი არიან სასულიერო აკადემიების რექტორები კიევისა—ეპ. ინოკენტი, კაზანისა—ეპ. აღექსი და პეტერბურგისა—ეპ. გიორგი.

კრიტიკული დახასიათება.

(*აგუჯია-გაფის ისტორია „ერკმან-შატრიანის“ თარგ. ავ. შაჰვარიაშისა.*)

I.

ერკმან-შატრიანის ნაწარმოებნი წარმოადგენს შესანიშნავს ნიჭიერად დაწერილს სალიტერატურო ნამოქმედარს, რომელსაც ყოველთვის დიდის გატაცებით და ხალხით კითხულობენ ყველანი.

მაგრამ გაღის დრო-ჟამი და, როგორც ყოველიფერს ამ ჩვენ „სოდვილ“ ქვეყანაზე, ამ სასიქადულო, დიდი ნიჭის მწერლების ნაწარმოებსაც ივიწყებენ. რას იზამთ, სხულ ყოველივე მოღის ბრალია. მოდა იყო, კითხულობდენ, მოდა არ არის, არ კითხულობენ. ადვილად შესაძლებელია, ეს ჩემი სტატიაც მოდამ არავის წაკითხოს, მაგრამ მე მაინც, რა კი ქართულად გამოიცა ამ იშვიათ მწერალთა ნაწარმოები, ვალდებულად ვთვლი თავს მოკლედ მაინც დავახსიათო იგინი.

იმას მოგახსენებდით, ერკმან-შატრიანიც, რომლითაც წინათ ძალიან და მეტისმეტადაც გატაცებულნი იყვენ ყველანი, ძლიერ აღრე და მალე დაივიწყეს. წინათ სახელი იმიტომ გაითქვა ამ ორმა—ერთგანუყრელ არსებათ გადაქცეულმა ელზასელმა მწერალმა, რომ მთელი ევროპა საფრანგეთს და მის მიერ საზარელ ომში დაკარგულ ორს მდიდარს პროვინციას შეჰყურებდა დიდის ინტერესით და გულის ძვერით.

ამ საგანს უტრიალებს ერკმან-შატრიანის ნაწარმოებიც, რომელიც გამსჭვალულია დიდი პატრიოტულის გრძობით და უადრესი პოლიტიკური მოსაზრებით და ტენდენციებით. ელზას ლორენის საქმეც, რომელიც გამწარებულ ფრანგს სისხლით უმღვრედა თვლებს და გულს ულადრავდა, თან და თან გაქრა პოლიტიკური ცის არგ-მარადან და ერკმან-შატრიანიც დაივიწყეს, თუმცა იმათ ნაწარმოებს, მიუცილებლად, წმინდა, ხალასი სამხატვრო ბეჭედი აზის.

და აი, სწორედ ახლაა დრო, რომ ქვემარტად, მიუდგომლად და სინდისიერად განხილულ და დაფასებულ იქნეს ამ დიდად საყურადღებო მწერლების პოლიტიკური და პატრიოტული სული, რომელიც წინად მთელს ქვეყნიერებას აღელვებდა, აპრიალვებდა, ახლადაცბრა თითქმის და, თუ არის სინტერესო და ყურადღების ღირსი მხოლოდ იმ მხრივ, რომ ვეღვიდი საქმე უკვე უღმობელ ისტორიას ეკუთვნის. ჩვენ გვრჩება ხელში ნაწარმოები, რომელიც გასაოცარის გულწრფელებით და უბ-

რალა, ღრმა ქვემარტი მხატვრობით გად-
მოქცემს ცხოვრების მრავალფეროვან სინამ-
დვილეს, რომელიც იდილიური და დამშვიდე-
ბული მეტად სასიამო მომხიბვლელ ტალან-
ტის ელ-ფერშია სულერთიანად გახვეული.

ბ. ი. მაქავარიანი პირველია ჩვენში, რომ-
მელმაც ქართველთა ყურადღება მიაკცია ერ-
კმან-შატრიანზე „გლებ-კაცის ისტორიის“
პირ და პირ ფრანგულიდან ლამაზად ქართუ-
ლად გადმოთარგმნით და მადლობის ღირსია
იგი.

პირ და პირ უცხო ენებიდან კლასიკურ
და საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებთა გად-
მოთარგმნა საქართველოში ვერ ხერხდება აქა-
მდის, ვერა და ვერა. მართალია, არის ქართულ
ლად გადმოთარგმნილი „სპარტაკი“ ნინო ყიფია-
ნის მიერ, „ციხე შიგნიდან გატეხილი“ სოსიკო
ბაქრაძის მიერ, შექსპირის ნაწარმოებნი ივ. მა-
ჩაბლის მიერ, ბიქტორ ჰიუგოც, გოტეც და,
ასე გასინჯეთ, დიდი ბრიტანიის სახელგანთ-
ქმული მგოსანი ლორდი ბაირონი. მაგრამ
იციით, რა სთქვა ამ ბაირონის რუსულიდან
გადმოქართულებულზე ამ მნ წლის წინათ
ეურნალ „კრებულში“ ჩვენმა უპირველესმა
კრიტიკოსმა ბატ. სკანდელმა: ეურნალ „მნა-
თობის“ მთარგმნელი ბაირონის „ჩაილდ-ჰარ-
ოლს“ სწორედ ისე თარგმნის, როგორც ქა-
ლაქის კინტო თარგმნის:

ნაქერ-ნაქერ ღრუბელ მოდის
მალა ციდანაო,
დაბეჭდილი წიგნი მომდის
საყვარლისგანაო.
კუსკიმ-კუსკიმ ობლაკ ილოტ
ოტ ვისუჟ ნიბუ,
ნაპჩატანა შისმა ილოტ
ოტ ლუბოვ ნიკუ...

ამ მწარე შხამიანს დაცინვას ყურიც არ
უგდეს ჩვენმა უნიკო მთარგმნელებმა და დღე-
საც განაგრძობენ თავიანთ თავ-მოსაწონებელ
კინტრის. თარგმნიან ვითომ და დიდის ტა-
ლანტით დაწერილს ნაწერებს ახალმოღის სიმბო-
ლისტებისას, დეკადენტებისას, პირ და პირ შერ-
ყეულებისას და პირველხარისხოვანი მწერალ-

ნი, გვირგვინი საზოგადო, სოფლიო ლიტე-
რატურისა, რომელიც საქვეყნოთ დაფასებუ-
ლნი არიან უდიდესი კრიტიკოსებისგან, სრუ-
ლიად უყურად-ღებოდ რჩებიან. პოლონელებს,
რუსებს და სომხებს კი მდიდარი ლიტერა-
ტურა აქვთ გადმოთარგმნილი...

რას ამტკაცებს ეს გარემოება?

ეჰ! ბევრს რასმეს, ჩემო მკითხველო! მაგ-
რამ, უმთავრესად, ჩვენს გონებით დაბნელე-
ბას, დიდს გამოყრუებას და... რომ გამოჩნ-
დეს კიდევ ნამდვილი და ქვემარტი ჯგუფი
საუცხოვო ქართველ მთარგმნელებისა, ვინა
ყავს წამკითხველი ჩვენში?

1890 წ., ვინ არ იცის, განა უმთავრე-
სად ჩემი მონდომილობით არ დაარსდა „ქარ-
თულ წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“
თფილისში, რომელმაც საუცხოვოდ მოაწყო
მდიდარი სტამბა, ჩვენი ნიქიერი მწერლების
ბეჭდვა, ეურნალ-გაზეთის გამოცემა, ისე საუ-
ცხოვოდ, რომ სომხური საუკეთესო გაზეთი
„მშაკი“ ხშირად უთითებდა ამ შესანიშნავად
მოწყობილ ქართულ საქმეზე და ჩვენ, ქარ-
თველებმა რა ჩავიდინეთ? ისა, რომ მთელი
ეს სამაგალითო სტამბა და საქმე დაგირავებუ-
ლია და იმავ სომხებს უვარდებახელში დღეს.
აი, რა უშველებელს, გულის მომკვლელ
საკითხს მივაწყდი ჩემდა უნებურად და ეს ჩე-
მი სტატია დღეს რომ ამ საგანზე იწერებო-
დეს, ვინ იცის, რა დასკვნებამდის მივიღოდი
აქ. ამიტომ, რომ სადმე ხრამში არ გადავი-
ჩეხო, ისევე ჩემ საგანს დავუბრუნდები.

ერკმან-შატრიანის, როგორც ყველა სხვა
ნაწერებს, ისე „ამ გლებ-კაცის ისტორიასაც“
წმინდა დემოკრატიული ხასიათი აქვს, მაგრამ
ის იდეები და ტენდენციები, რაც საფუძვლად
დაედვა ამ ნაწერებს, რომ დავივიწყოთ და მხო-
ლოდ წმინდა სალიტერატურო მხრითაც
რომ დაფასდეს ეს მწერლები, იგინი მაინც
ძვირფასი და ფრიად შესანიშნავი არიან. და-
სახელებულ მწერალთა ნაწერები გამსჭვალუ-
ლი არიან ძალიან გულწრფელი, ნაზი იუმო-
რით, ფრანგებისადმი ღრმა, ძლიერი სიყვარუ-
ლით, რომელიც აერთებს იმათთან კოსტალის

ენით, გულით და სურვილებით, მაგრამ სულთ კი სხვები არიან. ეს სახელოვანი ელზასელი დიდი პატრონები, რომელნიც დემოკრატიული საფრანგეთისთვის თავდადებულნი არიან, რომელსაც ასევე შეუბრალებლად ლუპავდა ნაპალეონის იმპერია დასისხლისმღვრელი საშინელი ომები, რომელმაც მოგლიჯა ელზასლორენი თვის საყვარელ სამშობლო ქვეყანას, მთელის თვისი არსებით, ცხოვრებით და სალიტერატურო ტალანტის თვისებით წმინდა ნემენცეები არიან.

სომელო.
(დასასრული იქნება.)

წალმა-უკულმა.*

(მოთხრობა კირილე წუთისოფლელისა)

ქუთაისში წამოსვლის დღეც გადაწყვიტეს და კოლიას მეგობარი რაფდენიმე დღით აღრე გამოექანა. მან აქ იმოენა კაცი იორდანე ასლანისთან მისაგზავნათ იმ აზრით, რომ მას თავისი ქალიშვილი ლიზა მიეთხოვებია კოლია წუწკაისთვის.

ღანიშნულ დღეს კოლია ჩამოხტა ქუთაისის საღვურზე, სადაც დაუხვდა ორივე მაქანკლები. კარგირამ შესახედავი იყო კოლია: პირად, ზედმიწევნილად ლამაზი, ტანად მაღალი და ახოვანი, თვალები ცოტად გამოკუსული და გამჭირახი, ცხვირი, წვერზე ლამაზად მოწეული, შუბლი სწორი და უართე წელი წვრილი და ბეჭებ-თემოები განიერი, მოგაგონებდათ ძველებურ რაინდის ნახატს. ყველა ამას დაუმატოთ, მომსუქნო პირის სახეზე მოპარული წვერი და მელანივით შავი უღვამები, მდიდრულათ ჩაკმულ-დახურული კოლია წუწკაისი და თქვენს თვალებს წარმოუდგება დედათა სქესის თვალწარშტაცი სურათი იშვიათი სასიძოსი... ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ, სიძე-მაქანკლები გააქანა, საგანგებოთ დაქირავებულმა ეტლმა იორდანეს სახლში, სადაც მოელოდნენ მათ კიდევ.

კოლია და ლიზას ისე ძალიან მოეწონათ ერთი-მეორე, რომ თითქო ისინი საგანგებოდ ჰყოფილიყვნენ ერთმანეთისთვის გაქვიდნი; კმაყოფილი დარჩა აგრეთვე ლიზას დედაც. ერთად-ერთი იორდანეს რაღაც უკმაყოფილება ეტყობოდა, რაც კიდევ გაუმედაფა ცოლში.

— ნუ იცი, თუ გიყვარდე, ასეთი ახირებულობა!— ასეთ ბედზე რომ კაცი ვარს იტყვის, მერე ის რა ხეიხს უნდა მოელოდეს?— ცოტა წყენით შენიშნა ქრისტიანამ ქმარს და ეს პირველი წყენაც იყო მათს ცოლ-ქმრობაში.

— კარგი ბატონო, არ გაწეენიებთ, მარა გლებ-კაცი უფრო მერჩია; რამე უკმაყოფილება რომ დაიბადოს ცოლ-ქმარში, ხომ იცი წოდებრივი უსწორობა, სად უნდა დევიქირო მერე ეს ამირანივით ვაჟ კაცი?— რბილად შენიშნა იორდანემ.

— დასაქერი ღმერთმა დეფაროს და თუ აზნაურია მით უკეთესი... ვინ და ვინ ჩვენ არ შემოგვძლეფია და შენ არც ერთზე თანხმობა არ გაგიცხადებია! ღვთის წინაშე, არც მე მომწონდა სხვა და ლიზაც არ იყო მაინც და მაინც კმაყოფილი; ეს, მეც ძალიანს მომწონს და, როგორც ვატყობ, ამაზე უკეთ ლიზასაც არ-ვინ მოწონებია და ხელს ნუ შეუშლი, თუ ღმერთი გწამს... ამისთანა შვილი გაუჩნდეს კაცს და იმაზე კიდევ ვაჩი უნდა თქვას?!

— ბატონი ბრძანდებით; არ შეგაწუხებთ; ღმერთმა კეთილი ქნას ლიზას ბედი, — წყენამხიარულობაში აღესილი სიტყვებით უთხრა იორდანემ.

კოლია და ლიზას ჯვარის-წერა ქუთაისშივე მოხდა, რამაც კარგა მხიარულად ჩაიარა. ამის შემდეგ, ახალ ჯვარ-დაწერილები ოთხი თუ ხუთი დღე დარჩენ იორდანეს სახლში და ამ ხნის განმავლობაში პატროსნურად, მშვიდად და დარბაისლურად მიდიოდა მათი ლხინი და შექცევა, რაც კოლიას სრულიადაც არ მოსწონდა; არ მოსწონდა მას აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იორდანეს სახლში ხშირ-ხშირად ახსენებდენ ღმერთს, პირჯვარს იწერ-

* იმ. ზინ. საქ. № 18.

დენ და ლოცულობდენ. — „ეს რა ამბავია, მონასტერი ხო არ არის აქაო?“ — ამბობდა ის გულში და ამ აზრს თავის მეგობრებსაც უზიარებდა... ცოტა არ იყოს, ლიზას მშვიდი, წყნარი და პატიოსანი ქცევა — ხასიათშიაც რაღაც დასაწუნს ჰხედავდა კოლია, მაგრამ ეს უსაშველოდ არ მიაჩნდა. — „სხვაფრივ ჩინებულის ქალია და ხტუნვა-როკვას მე თითონ დავაწყებინებო“, — ჭფიჭობდა ის. გარდა ამისა კოლიამ ცნობაში მოიყვანა იორდანეს ქონება და საკმაო მზითვადაც ჩასთვალა... როგორც ეტყობოდა, ქონება და მამული უფრო ახარებდა კოლიას, ვიდრე ცოლი, ან იორდანეს მოყვრობა და გარდა ამისა, ცოტად ისიც კი სწყენოდა გულში, რომ იორდანემ ხელად ფული არ მიუღოცა ახალ ჯვარ-ნაწერ შვილსა და სიძეს, რასაც იორდანეს სიძუნწეს აწერდა.

კოლიას გამგზავრების დღეც დადგა, რამაც უზომოთ შეაწუხა იორდანე და ქრისტიანა... ცოტა ხანი კიდევ და მათი ნაჭირ-ნახულები და მთელ სიცოცხლეზე უძვირფასესი ლიზა, მკლავს მკლავში გაუყრიდა ვიღაც გუშინდელ გაცნობილ კაცს და თავის უზომოდ მოყვარულ მშობლებს ცარიელ სალამს დაუტოვებდა, რაც მშობლების გულს სწყლავდა... მაგრამ რა უნდა ექნათ? კანონი ცხოვრებისა ავალბდათ: ცოლი ქმრისთვის დაეთმოთ... იორდანემ გამოალაგებია ლიზას მზითვენი: ძვირფასი საგებ-სახურავი, ხალები, ოჯახის მორთულობა-მოწყობილება და სხ., ამასთან ასა თუმანი ხელად ფული მიუთვალს კოლიას და გადაეხვია. „აწი ჩემი ხარ შვილო, ჩემი ლიზაც შენ ხარ და ჩემი კოლიაცა — გულ-ჩათუთქული ეუბნებოდა ის სიძეს, — ერთად-ერთი მემკვიდრე ჩემი თქვენა ხართ; რაც მაქვს თქვენია და რასაც ვიშონი, ისიც თქვენთვის მიიღა, იმედი მაქვს კვიანათ იქნებით; გახსოვდეთ ღმერთი, იცხოვრეთ ღვთისთ, გატან ჩემს ლიზას... ჩემს სიცოცხლეს... ძლივს მოათავა მამამ და ცრემლები მოერიო, შინ, თვალების ფშვნეტით, გასწიხ უკანა ოთახში, სადაც დაუხვდა შობტირალივე ქრისტიანა; თავის ოთახში სტიროდა აგრეთვე ლიზაც... ვინ იცის

რამდენ ხანს გასტანდა მათი მწუხარება, რომ კოლიას არ დაემშვიდებია ისინი. კოლიამ მეტად მოხერხებული სიტყვებით სამივეს მოხოცა ცრემლები და ბოლოს დაუმატა: „თუ ძალიან გიმძიმთ შვილის მოშორება, მე შემიძლია ქუთაისში დევიწყო ვაქრობა და აქავე, თქვენთან ვიცხოვრო. როცა ამას თქვენ მომთხოვთ, მე მზათა ვარ, ჩემი სიტყვა შეგასრულოვო.“ ამ სიტყვებმა ძალიან იმოქმედეს მშობლებზე და მათ ერთბაშად შესწყვიტეს მწუხარება. სადილიც ჩინებული გაიმართა; მზიარული იყო ყველა, იყო მზიარულად კოლიაც, მაგრამ ის უფრო იმაზე ჰფიქრობდა, რომ მისი ახალი მოყვრები მეტად საწყალი ადამიანები იყვნენ და სულ ღმერთზე ამყარებდენ მათს ცხოვრებას. (ესენი იმას ფიქრობენ, თითქო ღმერთს მიუცია მათთვის ქონება; მე, ჩემს სიცოცხლეში, ერთჯერაც არ მიხსენებია ღმერთი, მარა ამათზე ნაკლები ქონება არც მე მაქვს. ღმერთი არაფელს მისცემს კაცს, რასაც არ წაართმევს ასეთი სულელური რწმენა!... ვაი თუ ჩემი ლიზაც იმათსავით საწყალია და სახლში კიდევ დამიწყო რაღაც ლოცვა-შელოცვები და სულელური პიჯვრის წერაო...) ამბობდა ის.

კარგა მზიარული სადილის შემდეგ, ჩვენი მგზავრები გაუდგნენ ქალაქისაკენ.

კირილე წუთისოფელი.
შემდეგი იქნება.

ს ი ბ უ ვ ა

მღ. ი. დოდონაძისა განდაცვალბულ მონაწილის ნიკო კრაფიშვილის დასაფლავებაზე.

პატივცემულო საზოგადოება!
საჭიროთ მიგვაჩნია, შეძლებისამებრ ჩვენსა, მოკლე სიტყვით აღვნიშნოთ რამდენიმე კეთილი მხარე, ჩვენ წინაშე მღებარე გარდაცვალებულის ნიკო კრაფიშვილის ცხოვრებიდან; პლ სახეში გვაქვს, რომ საზოგადოდ გარდაცვალებულის ცხედრის წინაშე პირ-ფე-

რობა და ფარისევლობა უადგილოა. მე ვხედავ, რომ დღეს აქ უმეტესობა საზოგადოებისა გრძნობს გულის სიღრმიდან მძიმე მწუხარებას. რამ გამოიწვია ეს საერთო მწუხარება? უთუოდ მიცვალებულის ღრმა სიყვარულმა და მისდამი პატივის ცემამ. და ღირსიც იყო განსვენებული ამ პატივისცემისა. იგი თუმცა გვარიწვილობით არ ბრწყინავდა, მაგრამ იყო იესო ქრისტეს ღრმად მორწმუნე და მოსახელე, დაბაისელი, მკვერმეტყველი, საზოგადოებაში თავდაპირველი, მახვილ გონებიანი, წრფელი სინიღისის მექონე, სოფელ-ქვეყნის გამოსადეგი, გამოჩენილი პურ-მარილიანი და საჭირო კაცი; ქველმოქმედი, გლახაკთა და უღონოთა მიმღები და მოწყალე, უცხოთ შემწყნარებელი, უმეცართა და უზნეთა დამრიგებელი და კეთილის გზის მაჩვენებელი. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ, სადაც უნდა ყოფილიყო საშიშ სნეულებით გარდცვალებული, ეს თავს არ დაარიღებდა, ეს იყო მისი ქირისუფალი ყოველი მხრით. ამით მოიხვეჭა მან ისეთი ქება და სახელი, რომ დიდიდამ პატარამის ყველას ენახედ ეკრა მისი ქება და მადლობა, სადაც გამოჩნდებოდა ხალხში, დიდი და პატარა გარს ეხვეოდა; მის დინჯს და ქკუიან საუბარზე ყველანი სმენად გარდაიქცეოდნენ, განსვენებულს უკოლაში არ უსწავლია მაგრამ წერა-კითხვა მაინც იცოდა, უყვარდა კი შინაარსიანი წიგნების კითხვა, და კიდევაც სარგებლობდა ამით ცხოვრებაში. მეც დიდის სიამოვნებით ვაწოდებდი შეძლებისამებრ ამ გვარ წიგნებს, სადაც კი მოვიბოვებდი. ხშირად გამიგონია მისგან: კუქის საზრდო, მადლობა ღმერთს მომეზოება მაგრამ სულის საზრდოზედ დიდი ხელმოკლე ვარო. იხელთებდა თუ არა უცხო წიგნაკს, ისე დაეწაფებოდა და ისე გაიტაცებდა წიგნის კითხვა, რომ შთელს ღამეს ვითენებდა კითხვაში. ამასთანავე ქველის-მოქმედება თვალსაჩინოდ და გვიმტკიცო. მან შესწირა ჩემს რწმუნებულს ს. ნახშირისღელის სამრევლო უკოლას ის-ხუთი მანეთი, შეძლებისამებრ სხვა საგანზედაც საჭიროების ღროს იგი არ ზოგავდა თავის

წვლილს. განსვენებული იყო მხნე და შამაცი მშრომელი, მიწის მუშა, რითაც ერთის ღროლიდან მას სიღარიბისაგან თავი დაუხწევია და დღეს ნიეთიერის ქონებით და შეძლებით, შესანიშნავ და სასურველს ნიადაგზედ დაყენებული დასტოვა თავისი ოჯახი. თავგამოდებული მშრომელი, იგი სხვებსაც უკიყინებდა და აქებებდა შრომაზე. ასეთი მოქმედება მას თავის წმიდა მოვალეობათ მიაჩნდა. ხშირათ გამიგონია მისგან: მუშა კაცი, არა თუ მთელი დღე, ერთი საათიც არ უნდა მოცდეს ცუდათ, თუკი ჯან-ღონე ხელს უწყობსო. ჩვენ რომ უნდა ვიშრომოთ და საზრდო ოფრით შევიკრიბოთ, ეს ღმერთმა მცნებათ მოგვცაო. ასეთი ადამიანი იყო ჩვენ წინ მდებარე დღეს უსულო გვამი და მეტიც არ მოითხოვებოდა მისგან. მშვიდობით კეთილ მონაო ღვთისაო, საყვარელო ადამიანო, დაუვიწყარო ჩვენო ძვირფასო მეგობარო ნიკოლოზ! მშვიდობით, გიხაროდნენ რომ შენი სახელი საფლავთან არ განქარდების და შენი ხსენება დიდ ხანს დარჩება. გიხაროდნენ, რომ შენი ამ ქვეყნათ სათნო ცხოვრება წმიდათათანა დაგამკვიდრებს.

ს. ნახშირის-ღელის ეკკლესიის მღ.
ის. დოდუნაძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

უმოწიფესად გთხოვთ ამ წერილს დაუთმოთ ზღვიდი „შინაურის საქმეების“ უმასლობეს ლ-ში, რითაც მომცემთ შექმნას ჩემი საკუთარი აზრა და შეხედულება გამოცხადება მდ-თ მ.პ. ბესარიან ვამასის და გერგასი ბანათაშვილის შესახებ, მათ უმეტეს რომ მათი სულაური მდგომარეობა და სულის კეთება ცოტათ თუ ბევრათ ვიცი. ოთხი წელი იქნება სწორედ მას შემდეგ, რაც რომ ამ მაშებს შორის სუფევს დიდი უსიამოვნება; ეს კაციკო მოეღმა ჭიათურის მორწმუნე სსზოკადოებას და დიდათ სამწუხაროდ მიანია მათი ასეთი ქცევა და კიდევაც ცუდი შთაბეჭდილება იქონია

ასეთმა მათმა ქვეყანაში ჭიათურის მორწმუნე ერზე-
გერ გაიკეს აჭაურმა მცხოვრებლებმა მათი საკუ-
თარი მოაზრობისაგან დადგენილი მოძღვარი მ.
ბარათაშვილი თუ მ. ვაშაძე, ეს მამები კი ხაღხის
ზრთავე ასე ეუბნებოდნენ, არა ჩემი სამრევლო
ხართ და არა ჩემია, მღვდელ-მოქმედებს რი-
ვენი ასრულებდნენ, მხოლოდ კი უმეტეს ნაწილად
მ. ვაშაძე ასრულებდა. ამის გამო მათ შორის უსი-
ამოყნება უფრო ფესვს იღებდა, დიდებულად
და ასეთი მათი ქვეყნის გამო ჭიათურის აღმინის-
ტრანციონ კი შევიდა ექვში და ამ მღვდლების
გაუბრად კიდევც შეეკითხა უ-დ სამღვდლო
იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის, რომ ეცნობები-
ნს, თუ რომელს მღვდელს ეკუთვნის დაბა ჭიათუ-
რა სამრევლოდ სამდროთ სჯულის მასწავლებელს
მ. ბარათაშვილს თუ მრევლის მღ. მ. ვაშაძეს.
აღმინისტრანციონში მიიღო ასეთი ცნობა უ-დ სამღვ-
დელისაგან, რომ ჭიათურა არის მიწერილი ზე-
დაცნის მრევლზე და დაბა ჭიათურის სამრევლოს
მღვდელიც მ. ბესარიონ ვაშაძე არის. მაგრამ
არ იქმარა უ-დ სამღვდლოს ბრძანებამ. ამ მა-
შებს შორის კიდევ ხდებოდა უსიამოვნება რა-
ტანაც მ. ბარათაშვილი მ. ვაშაძის დაუკითხავათ
კიდევ ასრულებდა მღვდელ მოქმედებას.

ამ ახლო ხანებში გავიგეთ ამ მამების საქმე
უნდა გარჩეულიყო სამედიტორო წესის საშუალო-
ბით. მცხოვრებნი ჭიათურის დაინტერესდნენ და
მოუთმენლად ელოდნენ მედიტორების განაჩენის
შეტყობას, სურდათ გაგეოთ თუ ვის უმფრო
ბრალი ედებოდა, რომელმა შეაწუხა თვისი ძმა,
რომელმა დაარღვია სიუფარული ურთიერთ შორის,
ის სიუფარული რომელსც მარადის გვიქადაგებს
წ-და სხარება და კიდევც ბრძანებს სამდროთ წე-
რილი „სიუფარული თვით ღმერთიან“ და ასეთი
სიუფარულის დარღვევა თავის მოძმესთან ნიშნავს
ღვთის უარის ეოფას. ეხლა წავიკითხე „შინაური
საქმეების“ 16 №-ში მედიტორების განაჩენის
ზემო დასასრულებული მღვდლების შესახებ, რომ-
ლითაც უკმაყოფილო დავრჩით მრავალნი და ვერ
გავიგეთ, თუ რომელი უმფრო დამნაშავე იყო მათ
შორის. აგრეთვე ბ. „სულიც“ კი ვერ დავაშა-
ვლოვდა ასეთმა მედიტორების განაჩენმა და ვერ
უთხრელი აზრი გამოვსთქვა მათ შესახებ „შინაური
საქმეების“ 16 №-ში.

ეხლა როგორც დაახლოებით მცოდნე ამ
საქმის გარემოებისა, ნებას ვაძლევ ჩემი თავს მეც
გამოვსთქვა ჩემი ვერ უთხრელი აზრი შეძლებისა
და გვარად:

განაჩენის ვირველი მუხლის შესახებ ვსვამ
ასეთ კითხვას: რომელი ამ მღვდელთაგანს ჰქონდა
სრული უფლება, რომ შეთაურობა გამოეჩინა ჭია-
თურის ეკლესიის აღმენების საქმეში? რასაკვირვე-
ლია უფლების შექონება მრევლის მღვდელი და
ამისთვის უფელ მღვდელს უფლება აქვს თავის
რწმუნებულ მრევლში განაგოს როგორც სხვა უვე-
ლა საქმეები, ისე ეკლესიის აღმენების საქ-
მეც და მ. ბარათაშვილი კი ასეთ შემთხვევაში
სრულიად სხვა გარეშე ვირად ჩათვლება და ამი-
ტომაც არავითარი უფლება მას არ უნდა ჰქონოდა,
რომ სხვა მღვდლის მრევლში შეთაურობა გამოე-
ჩინა ადგილობრივი მღვდლის წინააღმდეგ.

განაჩენის მეორე მუხლის შესახებ ვიტყვი:
რაკი ჭიათურა მიწერილია ზედაცნის სამრევლო-
ზე, მღ. მ. ბარათაშვილს თუ ვირადათ არ ჰქონდა
აკრძალული მღვდელ მოქმედების შესრულება, სა-
ზოგადო სინოდის უქაზის მეტრ მაინც აკრძალუ-
ლი აქვსთ უველა მღვდლებს, რომ მათ ერთი მეო-
რის მრევლში არ ეუფლათ მღვდელ მოქმედების
შესრულება ადგილობრივი მღვდლის ნება დაურთ-
ველათ, გარდა სასიკვდილე ნათელისა და ზიარებისა
და ამისთვის მღვ. მ. ბარათაშვილს უფლება არ
ქონდა სხვის მრევლში ასე თამამად ემოქმედებია.

შესაძებ მუხლის შესახებ კიდევ ასეთ კითხვას
დავსვამ: რომელი ამ მღვდელთაგანია დამნაშავე,
რომ ერთმანეთს ხაღხში ცუდათ იხსენიებდნენ?
ერთი შეხედვით, როგორც მღვდლები, არც ერთი
ამათგანი არ არი გასამართლებელი, მაგრამ
ასეთ შემთხვევაში მღ. მ. ბესარიონ ვაშაძე უფრო
უდანაშაულოა, ვინე მ. ბარათაშვილი, იმიტომ
რომ შენს სამწესოში შენს მრევლში და შენს
ოჯახში რომ ე-ნ-მე ძაღათ შემოკადეს, ასე თუ
ისე, უნდა დაიცვა შენი თავი.

დანაჩენის მეოთხე მუხლის შესახებ: თუშცა
მედიტორები მეოთხე მუხლის განხილვაში არ შე-
სუდან და დანაშაულთანც არ ჩათვლება, რომ მან
მღ. მ. ვაშაძემ სხვისაგან რაღაც უცნაური ამბავი
გაიგონა და ეს მწუხარებით თრ თავის ამხანაგს

უთხრა; ამით ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მ. ვაშაძემ ეს სიტყვები ბოროტ განზრახვით და შინის მოკებით რომ ეთქვას თავის მოძვე მღვდელ-სკელ. მაგრამ მაინც შეეძლოთ ბ. შედიატორებს სინამდვილით შეეცრათ თუ, რატომ წამოაყენა ასეთი ბრალდება მ. ვაშაძესკელ მ. ბარათაშვილმა, თუმცა მ. ბარათაშვილი მ. ვაშაძის გულანდილი მისუხით კმაყოფილი დარჩენილს.

მეხუთე მუხლის შესახებ, სდაც მ. ბარათა-შვილს ბრალი ედება; რომ ვასილ ნოსაძე შინა დაუდგეგრობით კარდაცვლილს უზიარებელი საყვარ-მყოფოში—თუმცა შედიატორებს დამნაშაგეთ არ უნცნაოთ მ. ბარათაშვილი, მაგრამ მოგახსენებთ, რომ რაკი დროზედ ანობებს მ. ბარათაშვილს, რომ მომავლადვი ქრისტიანი კაცი ზიარებას თხო-ულობდა, რადა სკიორი იყო მაინც და მაინც მი-სი ბეგრი შემსადება და მეორეთ კადე ტეფეფონის ცდა, ან მეორეთ შეკითხვა, მაშინთვე შეუწე-რებლათ და გაუეთხავათ უნდა წასულიყო და ეზი-არებინა საცოდავი მოწმუნე ვაჟკაცი, რომელიც კრძნობდა სიკვდილს და მხოლოდ ერთ ზიარება-ზე და იმ ქვეყნისათვის ფიქრობდა, ფიქრობდა, რომ უახსარებო და უზიარებელი კაცი ძნელათ ცნობდებო და ამ დროს კი უ-დ უიშედო გაემ-ბავარს საწყადი უზიარებელი საიქიოსკენ.

დასასრულ, რადგანც შედიატორებმა განა-ჩენის მეორე მუხლში ის აზრი გაატარეს, რომ თვით ვერ შეესენ გადაწყვეტით იმ კითხვის გა-მორკვევას, თუ ვის უფრო ეუფლებს და ვის შე-ეფერება ჭიათურაში მღვდელ მოქმედების შესრუ-ლება, კანონის ძალით ეპარქიის უწყებაში მოსამ-სახურე სამრევლო მღვდელს, რომელსაც უფრელია ვე საბუთის წიგნები აქვს თუ საერო განათლების უწყებაში მოსამსახურე საღმრთო რჯულის მასწავ-ლებელ მღვდელს, ფრიად სასურველია და საჭი-რო, რომ თვით სასულიერო მთავრობა მაინც სა-ბოლოდ და გადაჭრით გადაწყვეტდეს ამ კით-ხვას მთელი საზოგადოების გასაუებათ და მხო-ლოდ მაშინ კი შეადება ბოლო უსიამოვნებას და ცუდ დამოკიდებულებას ამ აღნიშნულს მღვდელბთა შორის, წინააღმდეგ შე მთხვევაში კი არადესკე არ მოისმობა მათში შური და შტრობა, რაც არა-

ვისათვის სასიამოვნო არაა, შირიქით სამარცხი-ნო და საზარალოდ საზოგადოებისათვის.

ვინმე კიბოურელი.

1911 წ. 26 ივნისი.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მავდლიძე.
გამომცემელი იოსებ ლევადა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .



სტამბა „მრომა“

დაბა ზვირილაში

შვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ

დებულბს უოველგვარ სასტამბო საქმ.

უბეჭდავთ: ბლანეტებს, აფიშებს, განცხადებებს, წიგნებს, ბროშურებს და უოველგვარ მოსა-წვევ წერილებს: ქორწინებისას, ნათფისას, სამკლოვიაროსას და სხვ. აგრეთვე კონტო-რებისათვის სასგაკაშო წიგნებს და წიგნა-კებს, კვიტანციებს, იარლიკებს, სადარბაზო ბარათებს (ვიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლე-ბლისათვის კლასის ჟურნალები და ბილეთები.

საქმებს გასრულებთ სუფთად და თავის დროზე ძლიერ დაკლებულ ფასებში.

რამილიც შეუძლიანთ დარწმუნდნთ თვით პატრცემულნი ზაკაზჩიკები.

ადრესი: უფრილა სტამბა „მრომა“

Адресъ: Типогр. „Грудъ“ Квирылы



სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ეოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევრს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასება ნახატების ღირსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და ეოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევრს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანგე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ეოვლად სამღვდელო **ლაონიდას** ნდობით და გვაქვს მათი მგუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრესი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

„შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლირთვის უწევებები ახალი ფორმისა და ევალა უწევებები (ВЪДОМОСТИ) წლიური საბლბლოჩინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „შობის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწევილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе релігіозно Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.